ასლ

საქართველო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანება

№ 46

ქალაქი ქუთაისი 27 იანვარი 2026 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულების: სამდივნო განყოფილების, ადმინისტრაციული განყოფილების, იურიდიული განყოფილებისა და საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტების ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შ ე ს ა ხ ე ბ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის, 49-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 25^1 მუხლის 1-ლი პუნქტის, 25^2 მუხლისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 12 დეკემბრის №36 ბრძანების საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

მუხლი 1. გამოცხადდეს კონკურსი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულების: სამდივნო განყოფილების, ადმინისტრაციული განყოფილების, იურიდიული განყოფილებისა და საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტების ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www. vacancy.hr.gov.ge) მეშვეობით, მ/წლის 27 იანვრიდან, დანართის შესაბამისად.

(დანართი წინამდებარე ბრძანებას თან ერთვის)

მუხლი 2. კანდიდატებმა კონკურსში მონაწილეობის მიზნით, ელექტრონული განაცხადი და კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინებით გათვალისწინებული სხვა აუცილებელი დოკუმენტები წარადგინონ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www. vacancy.hr.gov.ge), 2026 წლის 27 იანვრიდან 2026 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადმა სტრუქტურულმა ერთეულმა - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ, უზრუნველყოს კონკურსში მონაწილეობისათვის კანდიდატების მიერ წარდგენილი განაცხადების ძირითად და დამატებით მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება, განცხადებების წარდგენისათვის განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან 10 კალენდარულ დღეში.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ გიორგი ჭიღვარია

ასლ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის 2026 წლის 27 იანვრის №46 ბრძანების
დანართი

ვ ა კ ა ნ ს ი ა №1

თანამდებობის დასახელება: მესამე რანგი - საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

პოზიციის დასახელება: სამდივნო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

კონკურსის ტიპი: შიდა კონკურსი

ორგანიზაცია: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

კატეგორია: ადმინისტრაცია

განცხადების წარდგენის ვადა: 27.01.2026 - 31.01.2026

თანამდებობრივი სარგო: 2080 ლარი

ადგილების რაოდენობა: 1

სამსახურის ადგილმდებარეობა: ქუთაისი

სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი

ფუნქციები

საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს სხდომების აუდიო ჩანაწერების წარმოება, კორექტირება, საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს სხდომათა ოქმების შედგენა - გაფორმება; საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების რედაქტირება, გაფორმება, რეგისტრაციასა და გამოცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა; საკრებულოს სამართლებრივი აქტების ნუსხების შედგენა; საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის აქტების პროექტების, ასევე, სხვადასხვა სახის წერილების, ინფორმაციების, მოხსენებითი ბარათების მომზადება; სამდივნო განყოფილებაში არსებული ოფიციალური დოკუმენტების არქივის შედგენაზე მუშაობა; ხელმძღვანელის მიერ, კომპეტენციის ფარგლებში გაცემული დამატებითი დავალებების შესრულება.

მოთხოვნები

მინიმალური განათლება: ბაკალავრი;

სამუშაო გამოცდილება: 2 წელი;

საკონკურსო თემატიკა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
3. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
5. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია;
6. „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება;
7. „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №200 დადგენილება;
8. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილება

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება, ცოდნის დონე: Microsoft Office Word - კარგი; Microsoft Office Excel - კარგი

საკონკურსო კომისიის მისამართი: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3

დამატებითი მოთხოვნები

სამდივნო საქმეზე ან/და საორგანიზაციო საკითხებზე მუშაობის არანაკლებ 2 (ორი) წლის გამოცდილება;

სასურველია უცხო ენების (ინგლისური ან რუსული ან გერმანული) ცოდნა;

მოლაპარაკების წარმართვის უნარი;

შედეგზე ორიენტაციის უნარი;

დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;

გუნდური მუშაობის უნარი;

სტრატეგიული და კომპლექსური აზროვნების უნარი;

დროის ეფექტიანი მართვის უნარი;

საქმის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;

სიზუსტესა და დეტალებზე ორიენტირებულობის უნარი;

მოქნილობა და ცვლილებებზე ადაპტირების უნარი;

წერილების, ანგარიშების, შეთავაზებების მომზადების უნარი

დამატებითი ინფორმაცია

კანდიდატმა კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადი უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www. vacancy.hr.gov.ge) მეშვეობით; შიდა კონკურსი ცხადდება პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჯარო დაწესებულების ან/და ამ დაწესებულების სისტემის მასშტაბით და მასში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს იქ დასაქმებულ მოხელეს; შიდა კონკურსის მეორე ეტაპი გულისხმობს კანდიდატის შეფასებას გასაუბრების საფუძველზე, რა დროსაც მხედველობაში მიიღება მოხელის შეფასების შედეგები; "ჩემი რეზიუმეს" შესაბამის ველში კანდიდატმა უნდა ატვირთოს სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი; კანდიდატი, რომელიც განაცხადის გადარჩევის საფუძველზე ვერ დააკმაყოფილებს დადგენილ საკონკურსო ‘მოთხოვნებს, ასევე, სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტების წარმოუდგენლობის/ არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, ვერ გააგრძელებს კონკურსში მონაწილეობას; კანდიდატებს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების შესახებ ინფორმაცია ეცნობებათ განაცხადში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება კომისიის მიერ ხმათა უმრავლესობით, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა

გასაუბრება

ვ ა კ ა ნ ს ი ა №2

თანამდებობის დასახელება: მესამე რანგი - საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

პოზიციის დასახელება: ადმინისტრაციული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საორგანიზაციო საკითხებში)

კონკურსის ტიპი: შიდა კონკურსი

ორგანიზაცია: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

კატეგორია: ადმინისტრაცია

განცხადების წარდგენის ვადა: 27.01.2026 - 31.01.2026

თანამდებობრივი სარგო: 2080 ლარი

ადგილების რაოდენობა: 1

სამსახურის ადგილმდებარეობა: ქუთაისი

სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი

ფუნქციები

მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული განყოფილების ფუნქციებიდან, კომპეტენციებიდან გამომდინარე სხვადასხვა დოკუმენტების შემუშავება და ანალიზი; მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსის მიერ გაცემული დავალებების შესრულების თაობაზე ინფორმაციის მიღება; საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს სხდომების, აგრეთვე, საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს წევრთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა მიერ სხვადასხვა ღონისძიებების მომზადებისა და ჩატარების ორგანიზაციულ - ტექნიკური უზრუნველყოფა; საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს სხდომის მოწვევის თაობაზე საკრებულოს წევრების ინფორმირება; საკრებულოს სხდომის თავმჯდომარისათვის, სხდომის წაყვანის პროცესში წესრიგის დაცვასა და სხდომის ტექნიკურ უზრუნველყოფაში ხელშეწყობა; საკრებულოს და საკრებულოს ბიუროს სხდომებზე კვორუმის არსებობის კონტროლი; საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა დასწრების რეგისტრაცია; საკრებულოს სხდომების ტრანსლაციისა და მისი საჯაროობის ტექნიკური უზრუნველყოფა; საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, საკრებულოს კომისიების სამუშაო გეგმისა და კომისიების სხდომების ჩატარების გრაფიკის შემუშავებისა და მომზადების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; საკრებულოს წევრების ყოველწლიური ანგარიშების მომზადების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ მოქალაქეთა მიღების, ასევე, საკრებულოს წევრების მიერ ამომრჩეველთა მიღებისა და მოსახლეობასთან შეხვედრის გრაფიკის შემუშავებისა და მომზადების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; საინფორმაციო - საკომუნიკაციო სისტემის გამართული ფუნქციონირებისა და სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული საკითხების ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფა; საკრებულოს მოსამსახურეთა მატერიალურ - ტექნიკური მომსახურებისა და საოფისე მასალებით მომარაგების, ასევე, საკრებულოს ინვენტარის, ტექნიკისა და სხვა აღჭურვილობით სარგებლობის წესების დაცვის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან და აპარატის უფროსთან შეთანხმებით;

მოთხოვნები

მინიმალური განათლება: ბაკალავრი;

სამუშაო გამოცდილება: 2 წელი;

საკონკურსო თემატიკა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
3. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

5. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია;

6. „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება;

7. „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №200 დადგენილება;

8. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილება

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება, ცოდნის დონე: Microsoft Office Word - კარგი; Microsoft Office Excel - კარგი

საკონკურსო კომისიის მისამართი: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3

დამატებითი მოთხოვნები

საორგანიზაციო საკითხებზე მუშაობის არანაკლებ 2 (ორი) წლის გამოცდილება;

სასურველია უცხო ენების (ინგლისური ან რუსული ან გერმანული) ცოდნა;

მოლაპარაკების წარმართვის უნარი;

ცვლილებებისა და სიახლეების ინიციირების უნარი;

დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;

გუნდური მუშაობის უნარი;

სტრატეგიული და კომპლექსური აზროვნების უნარი;

დროის ეფექტიანი მართვის უნარი;

საქმის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;

ინფორმაციის შეგროვებისა და მონაცემთა ანალიზის უნარი;

მოქნილობა და ცვლილებებზე ადაპტირების უნარი;

წერილების, ანგარიშების, შეთავაზების მომზადების უნარი

დამატებითი ინფორმაცია

კანდიდატმა კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადი უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www. vacancy.hr.gov.ge) მეშვეობით; შიდა კონკურსი ცხადდება პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჯარო დაწესებულების ან/და ამ დაწესებულების სისტემის მასშტაბით და მასში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს იქ დასაქმებულ მოხელეს; შიდა კონკურსის მეორე ეტაპი გულისხმობს კანდიდატის შეფასებას გასაუბრების საფუძველზე, რა დროსაც მხედველობაში მიიღება მოხელის შეფასების შედეგები; "ჩემი რეზიუმეს" შესაბამის ველში კანდიდატმა უნდა ატვირთოს სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი; კანდიდატი, რომელიც განაცხადის გადარჩევის საფუძველზე ვერ დააკმაყოფილებს დადგენილ საკონკურსო მოთხოვნებს, ასევე, სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტების წარმოუდგენლობის/ არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, ვერ გააგრძელებს კონკურსში მონაწილეობას; კანდიდატებს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების შესახებ ინფორმაცია ეცნობებათ განაცხადში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება კომისიის მიერ ხმათა უმრავლესობით, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა

გასაუბრება

ვ ა კ ა ნ ს ი ა №3

თანამდებობის დასახელება: მესამე რანგი - საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

პოზიციის დასახელება: ადმინისტრაციული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში)

კონკურსის ტიპი: ღია კონკურსი

ორგანიზაცია: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

კატეგორია: ადმინისტრაცია

განცხადების წარდგენის ვადა: 27.01.2026 - 31.01.2026

თანამდებობრივი სარგო: 2080 ლარი

ადგილების რაოდენობა: 1

სამსახურის ადგილმდებარეობა: ქუთაისი

სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი

ფუნქციები

საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტისკომისიის გამართული საქმიანობის უზრუნველყოფა და კომისიის თავმჯდომარისათვის უფლებამოსილების განხორციელებაში ხელშეწყობა; კომისიის საქმიანობის ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფა; კომისიის თავმჯდომარისათვის მოხსენებების, საჯარო გამოსვლებისა და რეგლამენტით დადგენილი წესით კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის მოზადებაში ხელშეწყობა; კომისიის დებულებით განსაზღვრული დარგობრივი მიმართულებების საკითხებზე მუშაობა; კომისიის თავმჯდომარის საინფორმაციო და ანალიტიკური უზრუნველყოფა; კომპეტენციის ფარგლებში საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება, განხილვა და საკრებულოს სხდომისათვის მომზადება; კომპეტენციის ფარგლებში საკრებულოში შემოსული დოკუმენტებისა და სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვა და დასკვნების მომზადება; კომისიების სხდომების მომზადებისა და ჩატარების ორგანიზება; კომისიის სხდომების აუდიო ჩანაწერების წარმოება, კორექტირება, კომისიის სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და სხდომათა ოქმების გაფორმება; კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის სახელზე შემოსული კორესპონდენციების განხილვა, გაანალიზება და ანოტაცია, კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით მათზე საპასუხო წერილების მომზადება; კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის წევრებთან მოქალაქეთა შეხვედრების ორგანიზება და კომპეტენციის ფარგლებში მათთვის კონსულტაციის გაწევა; მოქალაქეთა მიღებისას დასმული საკითხების შესრულების კონტროლი; ხელმძღვანელის მიერ, კომპეტენციის ფარგლებში გაცემული დამატებითი დავალებების შესრულება

მოთხოვნები

მინიმალური განათლება: ბაკალავრი;

სამუშაო გამოცდილება: 2 წელი;

საკონკურსო თემატიკა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
3. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
5. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია;
6. „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება;
7. „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №200 დადგენილება;

8. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილება

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება, ცოდნის დონე: Microsoft Office Word - კარგი; Microsoft Office Excel - კარგი

საკონკურსო კომისიის მისამართი: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3

დამატებითი მოთხოვნები

კულტურის, განათლებისა და სპორტის საკითხებზე მუშაობის არანაკლებ 2 (ორი) წლის გამოცდილება;

სასურველია - უცხო ენების (ინგლისური ან რუსული ან გერმანული) ცოდნა;

მოლაპარაკების წარმართვის უნარი;

ცვლილებებისა და სიახლეების ინიციირების უნარი;

დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;

გუნდური მუშაობის უნარი;

სტრატეგიული და კომპლექსური აზროვნების უნარი;

დროის ეფექტიანი მართვის უნარი;

საქმის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;

ინფორმაციის შეგროვებისა და მონაცემთა ანალიზის უნარი;

მოქნილობა და ცვლილებებზე ადაპტირების უნარი;

წერილების, ანგარიშების, შეთავაზებების მომზადების უნარი

დამატებითი ინფორმაცია

კანდიდატმა კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადი უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www. vacancy.hr.gov.ge) მეშვეობით; "ჩემი რეზიუმეს" შესაბამის ველში კანდიდატმა უნდა ატვირთოს: სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი; „რეკომენდატორების“ ველში კანდიდატმა უნდა მიუთითოს მინიმუმ 1 რეკომენდატორი (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია) და წარმოადგინოს სარეკომენდაციო წერილი; სავალდებულოა კანდიდატმა შეავსოს სამოტივაციო წერილის ველი; კანდიდატების შეფასება მოხდება თანამდებობისთვის შესაბამისი როგორც პიროვნული, ასევე პროფესიული უნარების მიხედვით; კანდიდატი, რომელიც განაცხადის გადარჩევის საფუძველზე ვერ დააკმაყოფილებს დადგენილ საკონკურსო მოთხოვნებს, ასევე, სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტების წარმოუდგენლობის/არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, ვერ გააგრძელებს კონკურსში მონაწილეობას; კანდიდატებს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების შესახებ ინფორმაცია ეცნობებათ განაცხადში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება კომისიის მიერ ხმათა უმრავლესობით, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა

გასაუბრება

ვ ა კ ა ნ ს ი ა №4

თანამდებობის დასახელება: მესამე რანგი - საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

პოზიციის დასახელება: იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

კონკურსის ტიპი: ღია კონკურსი

ორგანიზაცია: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

კატეგორია: იურიდიული

განცხადების წარდგენის ვადა: 27.01.2026 - 31.01.2026

თანამდებობრივი სარგო: 2080 ლარი

ადგილების რაოდენობა: 2

სამსახურის ადგილმდებარეობა: ქუთაისი

სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი

ფუნქციები

მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ფუნქციებიდან, კომპეტენციებიდან გამომდინარე სხვადასხვა დოკუმენტების შემუშავება და ანალიზი; მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - იურიდიული განყოფილების უფროსის მიერ გაცემული დავალებების შესრულების თაობაზე ინფორმაციის მიღება; საკრებულოს ინტერესების წარმოდგენა და დაცვა სასამართლოში, საკრებულოს ინტერესების დაცვა სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან; დასკვნების, მოხსენებითი ბარათების, სხვადასხვა შინაარსის აქტებისა და წარმოების მასალების უშუალო მომზადება და მათ შინაარსზე პასუხისმგებლობა; ადმინისტრაციული წარმოების წესებისა და პროცედურების დაცვის უზრუნველყოფა; მოქალაქეთა განცხადებების, ადმინისტრაციული საჩივრების, სხვადასხვა უწყებებიდან შემოსული წერილობითი მომართვების შესწავლა, განხილვა და სამართლებრივი დასკვნების მომზადება; მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით დასკვნების მომზადება; საკრებულოს თანამდებობის პირების, საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მეთოდური დახმარების გაწევა; საკანონმდებლო და ნორმატიული ხასიათის ცვლილებებისა და სიახლეების კონტროლი და საკრებულოს თანამდებობის პირებისათვის მათი მიწოდება-გაცნობის უზრუნველყოფა; ხელმძღვანელის მიერ, კომპეტენციის ფარგლებში გაცემული დამატებითი დავალებების შესრულება

მოთხოვნები

მინიმალური განათლება: ბაკალავრი;

სამუშაო გამოცდილება: 2 წელი;

საკონკურსო თემატიკა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
3. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
5. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია;
6. „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება;
7. „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №200 დადგენილება;
8. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილება

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება, ცოდნის დონე: Microsoft Office Word - კარგი; Microsoft Office Excel - კარგი

საკონკურსო კომისიის მისამართი: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3

დამატებითი მოთხოვნები

იურიდიულ სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 (ორი) წლის გამოცდილება;

სასურველია უცხო ენების (ინგლისური ან რუსული ან გერმანული) ცოდნა;

მოლაპარაკების წარმართვის უნარი;

ცვლილებებისა და სიახლეების ინიციირების უნარი;

დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;

სიზუსტესა და დეტალებზე ორიენტირებულობის უნარი;

სტრატეგიული და კომპლექსური აზროვნების უნარი;

ასერტიულობისა და პრინციპულობის უნარი;

საქმის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;

ინფორმაციის შეგროვებისა და მონაცემთა ანალიზის უნარი;

მოქნილობა და ცვლილებებზე ადაპტირების უნარი;

იდეების დასაბუთებისა და დარწმუნების უნარი

დამატებითი ინფორმაცია

კანდიდატმა კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადი უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www. vacancy.hr.gov.ge) მეშვეობით; "ჩემი რეზიუმეს" შესაბამის ველში კანდიდატმა უნდა ატვირთოს: სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი; „რეკომენდატორების“ ველში კანდიდატმა უნდა მიუთითოს მინიმუმ 1 რეკომენდატორი (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია) და წარმოადგინოს სარეკომენდაციო წერილი; სავალდებულოა კანდიდატმა შეავსოს სამოტივაციო წერილის ველი; კანდიდატების შეფასება მოხდება თანამდებობისთვის შესაბამისი როგორც პიროვნული, ასევე პროფესიული უნარების მიხედვით; კანდიდატი, რომელიც განაცხადის გადარჩევის საფუძველზე ვერ დააკმაყოფილებს დადგენილ საკონკურსო მოთხოვნებს, ასევე, სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტების წარმოუდგენლობის/არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, ვერ გააგრძელებს კონკურსში მონაწილეობას; კანდიდატებს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების შესახებ ინფორმაცია ეცნობებათ განაცხადში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება კომისიის მიერ ხმათა უმრავლესობით, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა

გასაუბრება

ვ ა კ ა ნ ს ი ა №5

თანამდებობის დასახელება: მესამე რანგი - საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

პოზიციის დასახელება: საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

კონკურსის ტიპი: ღია კონკურსი

ორგანიზაცია: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

კატეგორია: საქმისწარმოება

განცხადების წარდგენის ვადა: 27.01.2026 - 31.01.2026

თანამდებობრივი სარგო: 2080 ლარი

ადგილების რაოდენობა : 1

სამსახურის ადგილმდებარეობა: ქუთაისი

სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი

ფუნქციები

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების უფროსის მიერ გაცემული დავალებების შესრულების თაობაზე ინფორმაციის მიღება; საკრებულოში მოქალაქეთა მიღების უზრუნველყოფა და საკრებულოს თანამდებობის პირებთან, საკრებულოს წევრებთან და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებთან შესახვედრად მოსული მოქალაქეებისათვის ადმინისტრაციულ შენობაში შემოსვლისათვის საჭირო საშვის დაშვება; კომპეტენციის ფარგლებში მოქალაქეებისათვის კონსულტაციის გაწევა; საკრებულოს თანამდებობის პირებთან მოქალაქეთა მიღების თაობაზე მონაცემთა ბაზის წარმოება; ხელმძღვანელის მიერ, კომპეტენციის ფარგლებში გაცემული დამატებითი დავალებების შესრულება

მოთხოვნები

მინიმალური განათლება: ბაკალავრი;

სამუშაო გამოცდილება: 2 წელი;

საკონკურსო თემატიკა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";
3. „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;
4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
5. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია;
6. „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება;
7. „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №200 დადგენილება;
8. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილება

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება, ცოდნის დონე: Microsoft Office Word - კარგი; Microsoft Office Excel - კარგი

საკონკურსო კომისიის მისამართი: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3

დამატებითი მოთხოვნები

საქმისწარმოების ან/და მოქალაქეთა მომსახურების საკითხებზე მუშაობის არანაკლებ 2 (ორი) წლის გამოცდილება;

სასურველია - უცხო ენების (ინგლისური ან რუსული ან გერმანული) ცოდნა;

გუნდური მუშაობის უნარი;

დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;

საქმის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;

დროის ეფექტიანი მართვის უნარი;

მოლაპარაკების წარმართვის უნარი;

ცვლილებებისა და სიახლეების ინიციირების უნარი;

სტრატეგიული და კომპლექსური აზროვნების უნარი;

ინფორმაციის შეგროვებისა და მონაცემთა ანალიზის უნარი;

მოქნილობა და ცვლილებებზე ადაპტირების უნარი;

კონფლიქტებისა და დავების მართვის უნარი

დამატებითი ინფორმაცია

კანდიდატმა კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადი უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www. vacancy.hr.gov.ge) მეშვეობით; "ჩემი რეზიუმეს" შესაბამის ველში კანდიდატმა უნდა ატვირთოს: სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი; „რეკომენდატორების“ ველში კანდიდატმა უნდა მიუთითოს მინიმუმ 1 რეკომენდატორი (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია) და წარმოადგინოს სარეკომენდაციო წერილი; სავალდებულოა კანდიდატმა შეავსოს სამოტივაციო წერილის ველი; კანდიდატების შეფასება მოხდება თანამდებობისთვის შესაბამისი როგორც პიროვნული, ასევე პროფესიული უნარების მიხედვით; კანდიდატი, რომელიც განაცხადის გადარჩევის საფუძველზე ვერ დააკმაყოფილებს დადგენილ საკონკურსო მოთხოვნებს, ასევე, სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტების წარმოუდგენლობის/არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, ვერ გააგრძელებს კონკურსში მონაწილეობას; კანდიდატებს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების შესახებ ინფორმაცია ეცნობებათ განაცხადში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება კომისიის მიერ ხმათა უმრავლესობით, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა

გასაუბრება

საკრებულოს თავმჯდომარე _____ გიორგი ჭიღვარია